

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52
2012 წლის 28 დეკემბერი

ქ.ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

თავი I

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 126.0	17 357.6	10 692.5	6 665.1	6 535,0	220,0	6 315,0
გადასახადები	1 533,8	1 323.4	0.0	1 323.4	1 200,0	0.0	1 200,0
გრანტები	6 357,0	15 157.0	10 692.5	4 464.5	4 585,8	220,0	4 365,8
სხვა შემოსავლები	1 235,2	877.2	0.0	877.2	749,2	0.0	749,2
ხარჯები	5 922.7	10 461.3	3 164.0	7 297.3	5 823.7	322.8	5 500.9
შრომის ანაზღაურება	1 124,1	1 475.5	104.1	1 371.3	2 063,0	83,8	1 979,2
საქონელი და მომსახურება	1 611.5	2 095.7	185.3	1 910.4	1 763.6	31,2	1 732.4
სუბსიდიები	1 154.8	1 170.6	0.0	1 170.6	1 243.7	0.0	1 243.7
გრანტები	1 400.0	2 290.0	0.0	2 290.0	0,0	0.0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	307.7	1 255.3	824.0	431.2	587.7	105,0	482.7
სხვა ხარჯები	324.6	2 174.3	2 050.6	123.7	165.8	102.8	63,0
საოპერაციო სალდო	3 203.4	6 896.2	7 528.5	-632.2	711.3	-102.8	814.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1 996.2	8 436.7	8 239.0	197.8	814.1	0,0	814.1



ზრდა	2 052.5	8 497.6	8 239.0	258.6	829.1	0,0	829.1
კლება	56.3	60.8	0.0	60.8	15,0	0.0	15,0
მთლიანი სალდო	1 207.2	-1 540.5	-710.5	-830.0	-102.8	-102.8	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 207,2	-1 540.5	-710.5	-830.0	-102.8	-102.8	0,0
ზრდა	1207.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1207.2	0.0	0.	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	1 540.5	710.5	830.0	102.8	102.8	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1 540.5	710.5	830.0	102.8	102.8	0,0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
	ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9 182,3	17 418,4	10 692,5	6 725,9	6 550,0	220,0	6 330,0
შემოსავლები	9 126,0	17 357.6	10 692,5	6 665.1	6 535,0	220,0	6 315,0
არაფინანსური აქტივების კლება	56,3	60.8	0,0	60.8	15,0	0.0	15,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	7 975,1	18 958,9	11 403,0	7 555,9	6 652.8	322.8	6 330,0
ხარჯები	5 922.7	10 461.3	3 164.0	7 297.3	5 823.7	322.8	5 500.9



არაფინანსური აქტივების ზრდა	2 052.5	8 497.6	8 239.0	258,6	829.1	0,0	829.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	1 207,2	-1 540.5	-710.5	-830.0	-102.8	-102.8	0,0

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6 535,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 126,0	17 208,4	10 692,5	6 515,9	6 535,0	220,0	6 315,0
გადასახადები	1 533,8	1 211,0	0.0	1 211,0	1 200,0	0.0	1 200,0
გრანტები	6 357,0	15 157,0	10 692,5	4 464,5	4 585,8	220,0	4 365,8
სხვა შემოსავლები	1 235,2	840,4	0.0	840,4	749,2	0.0	749,2

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1 200,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 533,8	1 323,4	0.0	1 323.4	1 200,0	0.0	1 200,0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ქონების გადასახადი	1 533,8	1 323,4	0.0	1 323,4	1 200,0	0.0	1 200,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	831,9	760,4	0.0	760,4	711,0	0.0	711,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0.0	0,0	0,0	0.0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	19,4	68,0	0.0	68,0	10,0	0.0	10,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	170,0	102,0	0.0	102,0	102,0	0.0	102,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	512,5	393,0	0.0	393,0	377,0	0.0	377,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0.0	0,0	0,0	0.0	0,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0.0	0,0	0,0	0.0	0,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4 585,8 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
გრანტები	6 357,0	15 157,0	4 585,8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6 357,0	15 157,0	4 585,8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3 481,7	4 684,5	4 585,8
გათანაბრებითი ტრანსფერი	3 281,7	4 464,5	4 365,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	200,0	220,0	220,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 875,3	10 472,5	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1 700,0	7 600,0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	675,3	833,8	0,0



საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0,0	1330,0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0,0	16,0	0,0
სხვა პროექტები	500,0	692,7	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 749,2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 235,2	877.2	749,2
შემოსავლები საკუთრებიდან	199,9	127.7	104,0
დივიდენდები	0,0	1,0	0,0
რენტა	199,9	126.7	104,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	175,6	113.5	100,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	24,4	13.2	4,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	513,4	331.5	325,2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	507,4	329.0	321,2
სანებართვო მოსაკრებელი	27,4	33.8	20,0
სატენდერო მოსაკრებელი	0,0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,2	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	279,1	120.0	150,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	200,9	175.0	151,2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6,0	2.5	4,0
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	6,0	2.5	4,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	513,7	350.0	320,0



ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	46,2	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	8,2	21,8	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 823.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5 922,7	10 461.3	3 164.0	7 297.3	5 823.7	322.8	5 500.9
შრომის ანაზღაურება	1 124,1	1 475.5	104.1	1 371.3	2 063,0	83,8	1 979,2
საქონელი და მომსახურება	1 611,5	2 095.7	185.3	1 910.4	1 763,6,0	31,2	1 732.4
სუბსიდიები	1 154,8	1 170.6	0,0	1 170.6	1 243,7	0,0	1 243.7
გრანტები	1 400,0	2 290,0	0,0	2 290,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	307,7	1 255.3	824.0	431.2	587.7	105,0	482.7
სხვა ხარჯები	324,6	2 174.3	2 050.6	123.7	63,0	102.8	63,0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 814.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 829.1 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	30,8	129.8	60.0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	61,5	50,3	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1938,8	8038.0	659.1



განათლება	0.0	0.0	100.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	21,3	279,4	10,0
ს უ ლ	2 052,5	8 497.6	829.1

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 15.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2011 ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	56,3	60,8	15,0
ძირითადი აქტივები	8,8	39,6	0.0
არაწარმოებული აქტივები	47,5	21.3	15,0
მიწა	47,5	21.3	15,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2011 ფაქტი	2012 გეგმა	2013 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 648,6	4 213.5	2 235.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 607,5	4 105.0	2 233.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 607,5	4 100.4	2 183.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	4.6	50,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	30.3	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	41,1	78.2	2.0
702	თავდაცვა	91,7	120.2	142,9



703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	374,0	460.3	305,6
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	164,5	219,5	10,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	209,5	240.9	295,6
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 766,2	6 143.0	221.1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	207,5	150,1	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	207,5	150,1	0,0
7045	ტრანსპორტი	1 003,2	4 862.6	201.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 003,2	4 862.6	201.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	555,5	1 130.3	20,0
705	გარემოს დაცვა	844,7	2 619.6	920.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	435,2	508,5	520.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	409,5	2 111.2	400,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	631,5	2 480.0	692.5
7061	ბინათმშენებლობა	25,4	1 447,6	102.8
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	3.2	10,0
7063	წყალმომარაგება	23,2	233.8	51,6
7064	გარე განათება	395,8	600.3	475.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	187,1	195.1	53,1
707	ჯანმრთელობის დაცვა	87,5	87,4	90,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	87,5	87,4	90,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	688,1	1 022.0	748.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	221,3	518.1	309.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	459,7	489.1	429.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	7,0	14.8	10,0
709	განათლება	622,6	645.1	798.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	567,5	581.8	734.3



7092	ზოგადი განათლება	13,2	13,0	15,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	13,2	13,0	15,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	41,9	50,3	49,4
710	სოციალური დაცვა	220,2	1 167,9	497,7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	44,6	65,4	91,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102,2	354,4	272,0
7106	სოციალურად დაუცველი პირების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა	0,0	0,0	15,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	48,8	52,4	96,7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	24,5	695,7	23,0
	სულ	7 975,1	18 958,9	6 652,8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,0 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 102,8 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0,0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 220,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 90,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 115,0 ათასი ლარი;

გ) იძულებით გადაადგილებულთა და ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებისათვის 15,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

წყალდიდობის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება, კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სპეციალური ტანსაცმლით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

გამოწვეული წყალდიდობის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სახანძრო დაცვის სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

1.2. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ხაშურის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 2012 წელში აღებული ვალდებულების დაფარვას, რაც გამოიხატება კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაში.

1.3 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია: სანიტარული დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მაწანწალა ცხოველებთან და მღრნელებთან ბრძოლა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ქალაქ ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილია ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების (ტრაქტორის) შესყიდვა.

2.2. თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების და საგზაო ნიშნების მოწესრიგების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, უპირველეს ყოვლისა ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში არსებულ



ცენტრალურ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის ოპტიმალური გეგმის შემუშავება და შესაბამისი საგზაო ნიშნების დამონტაჟება-მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ნაკადებისაგან დასახლებების განტვირთვას.

2.3. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში იგეგმება: სანიტარული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოწყობა, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

2.3.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვა, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მწყობრიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ჩამრთველის პუნქტების შეკეთებას;

2.3.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავება, ქალაქ ხაშურის, დაბა სურამის, სოფლების: ქვიშხეთის, ტაშისკრის, ცხრამუხის, ოსიაურის, გომის, ვაყის, ალის, ხცისის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. დაგეგმილია აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას (მათ შორის მაწანწალა ძაღლების შეგროვება, დასუფთავების ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია სანაგვე ურნების შესყიდვა.

2.3.3. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის განმავლობაში იგეგმება დაბა სურამში ე.წ. გვერდისუბნის დასახლებაში, ე.წ. ბაიანთხევის დასახლებაში და ე.წ. იტრიის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.

2.3.4. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების გადახდა. განხორციელება სოფელ ფლევში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დამტებითი სამუშაოები.

2.3.5. ბინათმშენებლობა (საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია) (პროგრამული კოდი 03 02 10)

მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია და გარე ფასადის სარემონტო-სამღებრო სამუშაოები.

2.4. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქ ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სხვადასხვა სადღესასწაულო დღეების დროს ქალაქ ხაშურის



გაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

2.4.1. ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ხაშურში არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას ფოცხით, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიბვას ცელით და გატანას. მოხდება ქალაქ ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეღვა.

2.4.2. სასოფლო და არასასოფლო მეურნეობის მიწის ნაკვეთების პროექტებისათვის საკადასტრო და აზომვითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, ასევე შენობა-ნაგებობების საამშენებლო და მათი ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

2.4.3. დეფექტური აქტების და ხარჯთაღრიცხვების მომზადების მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 04 07)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში, ასევე დაფინანსების სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო მშენებლობისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად მოხდება საჭირო მომსახურების შესყიდვა.

2.4.4. ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღირსშესანიშნავი სადღესასწაულო დღეების დროს ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად. ასევე მნიშვნელოვანია შესაძლებელი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის საშუალო ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც განათლებას იღებს 1008 ბავშვი. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა თანადაფინანსება თითოეულ ბავშვზე შეადგენს 50 ლარს. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილური შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო და აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის სოფლებში (ვაყა, ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, კვიშხეთი, ტეხერი, ჩუმათელეთი, ბიჯნისი, წაღვი, წრომი) ფუნქციონირებს ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფები.

3.2. საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საშუალო ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლებში ფინანსდება პედაგოგთა შრომის ანაზღაურება იმ მოსწავლეების ბინაზე სწავლებისათვის, რომლებსაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღება.



3.3. შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდიის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, განათლების საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

4.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ღონისძიებების ჩატარება სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში და ჩემპიონატებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიღება, მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება; რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება; სასწავლო საწრთვნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა; სპორტსმენთა წახალისება; სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა; ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა; ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა, ტერიტორიების და მათზე განლაგებული ნაგებობების სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა და დასუფთავების ღონისძიებები.

4.1.2. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

სპორტული სკოლა დაკომპლექტებული არის 869 ბავშვით და სწავლება მიმდინარეობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ინტენსიური წვრთნის პროცესი, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები, კულტურული და ახალგაზრდული პროგრამები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე და ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნას დღესასწაულების მიმართ.

4.2.1. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:



- 3 მარტს და 8 მარტს დედის დღის და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;
- 9 მაისის დიდ II მსოფლიო ომში გამარჯვების 66 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალში „იპოვე შენი ვარსკვლავი“ მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დასრულებისა და ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
